მოსახლეობის ადამიანური უსაფრთხოების ხარისხის და გენდერული საჭიროებების შეფასება სენაკის მუნიციპალიტეტში

პროექტი „განხეთქილების დაძლევა - ხალხთაშორისი ინიციატივები კონფლიქტის მოსაგვარებლად“

2023

კვლევის ჩატარება შესაძლებელი გახდა
ამერიკელი ხალხის გულისხმიერი მხარდაჭერით
USAID-ის სააგენტოს მეშვეობით

კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ქალთა ფონდ „სოხუმს“
და, შესაძლოა, არ გამოხატავდეს USAID-ის პოზიციას

სარჩევი

შესავალი 3
კვლევის მეთოდოლოგია 4
კვლევის სოციალურ-დემოგრაფიული
მახასიათებლები 6
კვლევის ძირითადი მიგნებები 6
ბლოკი 1. უსაფრთხოების არსი 6
ბლოკი 2. საზოგადოებრივი უსაფრთხოება 8
ბლოკი 3. პირადი უსაფრთხოება 12
ბლოკი 4. ადამიანური უსაფრთხოება 15
დასკვნა და რეკომენდაციები 16

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სენაკის მუნიციპალიტეტის ფარგლებში ჩატარებული რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის სისტემატიზებულ მონაცემთა ანგარიშს, რომელშიც ასახულია საზოგადოების დამოკიდებულება ადამიანური უსაფრთხოების ხარისხზე.

კვლევა ჩატარდა USAID-ის სააგენტოს მიერ მხარდაჭერილი, ქალთა ფონდი „სოხუმის“ პროექტის „განხეთქილების დაძლევა - ხალხთაშორისი ინიციატივები კონფლიქტის მოსაგვარებლად“ ფარგლებში.

საზოგადოებაში ადამიანური უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების დასამკვიდრებლად მთავარ ფუნდამენტს წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვა გენდერული მახასიათებლების გათვალისწინებით, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს ამ მიმართულებით არსებულ პრობლემათა გამოვლენას და საჭიროებების შესწავლას.

აქედან გამომდინარე, **აღნიშნული კვლევის მიზანია** სენაკის მუნიციპალიტეტში ქალთა საჭიროებების შესწავლა და მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ადამიანის უსაფრთხოების ხარისხის შეფასება გენდერული მახასიათებლების გათვალისწინებით, რისთვისაც შეფასდა საზოგადოების ფართო წრის დამოკიდებულებები, მოხდა ადამიანური უსაფრთხოების კუთხით არსებული პრობლემების და გამოწვევების იდენტიფიცირება და პრიორიტეტული საკითხების გამოკვეთა, პრობლემებზე ეფექტიანი რეაგირების სტრატეგიების გამომუშავებისა და პოზიტიური ცვლილებების ადვოკატირებისთვის, როგორც ადგილობრივ, ასევე ცენტრალურ დონეზე.

კვლევის შედეგად გამოვლენილი მიგნებები და მათზე დაყრდნობით შემუშავებული რეკომენდაციები საფუძვლად დაედება როგორც ქალთა ფონდი „სოხუმის“ წარმომადგენელთა, ასევე სენაკის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ თემებში მცხოვრები ქალი და ახალგაზრდა ლიდერების მიერ განსახორციელებელ ადვოკატირების კამპანიას.

მოსახლეობის საჭიროებების შეფასებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რათა შემდგომში მათ დაეფუძნოს მუნიციპალური პროგრამები და გამოიყოს საბიუჯეტო თანხები მათი მოგვარებისთვის.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ჩატარების პერიოდი მოიცავს 2023 წლის 1 იანვრიდან 28 თებერვლამდე. კვლევა ეფუძნება რაოდენობრივი და თვისებრივი შედეგების კონსოლიდაციით მიღებული მასალის ანალიზს.

რაოდენობრივი კვლევისთვის შემუშავდა კითხვარი/ანკეტა, რომელიც, ძირითადად, შედგებოდა დახურული შეკითხვებისგან და მოიცავდა ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ანკეტირება განხორციელდა ონლაინ ფორმატით. კითხვარის შევსებისას რესპონდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, კითხვარში მითითებული პასუხებიდან აერჩიათ რამდენიმე ვარიანტი. ანკეტირების გზით გამოიკითხა სენაკის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 151 ადამიანი.

თვისებრივი კვლევისთვის ჩატარდა 4 სიღრმისეული ინტერვიუ ადგილობრივ ექსპერტებთან (3 ქალი, 1 კაცი), ასევე 4 ფოკუს-ჯგუფის დისკუსია ადგილობრივი თემის წარმომადგენლებთან, რომელშიც ჩართული იყო 27 ადამიანი (21 ქალი და 6 კაცი).

სულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 182 ადამიანმა, მათ შორის 127 ქალი და 53 კაცი.

კვლევის სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები

რაოდენობრივ კვლევაში ჩართული 151 მონაწილიდან 106 ქალია, ხოლო 46 - კაცი, რაც პროცენტული მაჩვენებლის მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

დიაგრამა 1.



რაც შეეხება კვლევის მონაწილეთა მაჩვენებელს **ასაკის მიხედვით,** შემდეგნაირი სურათი მივიღეთ: რაოდენობრივი კვლევის მონაწილეთა უმრავლესობას წარმოადგენენ ახალგაზრდები 18-30 წლამდე (45,70%) და საშუალო ასაკის პირები 31-45 წლამდე (25,16 %). შემდეგ მოდიან პირები 46-65 წლამდე (22,51%), ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი შეადგინა პირებმა 65+ (6,63%).

სოციალური სტატუსის მიხედვით, რესპონდენტთა 49% არის დევნილი, 51% - ადგილობრივი.

დიაგრამა 2.



დასაქმების სტატუსის მიხედვით გამოკითხულთა უმრავლესობა (42%) დასაქმებულია, ხოლო უმუშევართა მაჩვენებელი 30%-ს შეადგენს. კვლევაში ჩართულთა 6% არის პენსიონერი, 22% კი სტუდენტია.

დიაგრამა 3.



დასაქმებული ქალებიდან დევნილი არის 41%, ხოლო ადგილობრივი - 55%. რაც შეეხება უმუშევრებს, აქ სტატისტიკა შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: კვლევაში ჩართული დევნილი ქალებიდან უმუშევარი არის 21%, ხოლო ადგილობრივი - 17%. კაცების დასაქმების კუთხით კი კვლევაში შემდეგი სურათი გვაქვს: დევნილი კაცებიდან დასაქმებულია მხოლოდ 24%, უმეტესობა კი (51%) დაუსაქმებელია. ადგილობრივ კაცებშიც არის დასაქმების პრობლემა, რადგან მათი 69% დაუსაქმებელია და მხოლოდ 9% აღნიშნავს, რომ მუშაობს. ეს ცხადად მიუთითებს იმაზე, რომ უმუშევრობა, სოციალური სტატუსის მიუხედავად, ყველასთვის ჯერ კიდევ პრობლემას წარმოადგენს.

კვლევის ძირითადი მიგნებები

ბლოკი 1. უსაფრთხოების არსი

ადამიანის ეკონომიკური უსაფრთხოება ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების, სტაბილურობის და მდგრადი მშვიდობის განმსაზღვრელი და შემადგენელი ნაწილია, რომლის უზრუნველყოფა სახელმწიფოს, მთელი საზოგადოების და ცალკეული მოქალაქის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში შეფასდა სამიზნე ჯგუფების უსაფრთხოების ხარისხი ხუთბალიანი სისტემის გამოყენებით, რამაც შემდეგი სურათი დაგვანახა:

ცხრილი 1.

შეაფასეთ თქვენი უსაფრთხოების ხარისხი 1-დან 5-მდე სკალის მიხედვით						
დაბალი	**1**	**2**	**3**	**4**	**5**	**მაღალი**
	3,30%	8,66%	38,50%	30,40%	19,20%	

თუ ამ ცხრილით ვიმსჯელებთ, მონაწილეთა უმრავლესობა უსაფრთხოების ხარისხს საშუალო დონეზე აფასებს (38,50%), თუმცა მაღალ ქულებსაც შედარებით დიდი პროცენტული მაჩვენებელი აქვს: 4 ქულა - 30,40% და 5 ქულა - 19,20%.

რადგანაც უსაფრთხოების დაბალი მაჩვენებელი სულ რამდენიმე ადამიანს აქვს მითითებული, ჩვენთვის საინტერესო იყო, გაგვერკვია, რომელი სქესის წარმომადგენელი მიიჩნევს თავს მაქსიმალურად უსაფრთხოდ თავს. გამოვლინდა, რომ ხუთბალიანი მაჩვენებლით ქალების 26%-მა შეაფასა უსაფრთხოების ხარისხი, რომელთა შორის დევნილი და ადგილობრივი ქალების რაოდენობა შემდეგნაირად განაწილდა: დევნილი - 34% და ადგილობრივი - 21%.

უსაფრთხოების ხარისხის არცთუ დაბალი მაჩვენებლის უფრო დეტალურად ჩაღრმავების საშუალება მოგვცა მომდევნო შეკითხვამ: - **რა არის უსაფრთხოება?** გამოიკვეთა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობისთვის უსაფრთხოება არის **ომის საფრთხის არარსებობა და სტაბილურობა**, რასაც აფიქსირებს 84,77%, ასევე უსაფრთხო გარემოს არსებობისთვის მნიშვნელოვანია **ოჯახის კეთილდღეობა** (60%) და **საზოგადოებრივი განვითარების შესაძლებლობის არსებობა** (43%). არანაკლებ ღირებულია, ქვეყანაში იყოს **გადაადგილების თავისუფლება** ნებისმიერი საჭიროებისთვის, როგორიცაა, მაგალითად, განათლების მისაღებად, ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად, მკურნალობის მისაღებად და ა.შ., რაზეც გამოკითხულთა 38,41% მიუთითებს.

კრიმინალის დაბალი მაჩვენებელი, როგორც უსაფრთხოების ხელის შემშლელი ფაქტორი, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა 31,12%-ისთვის. **სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას** უპირატესობა მიანიჭა გამოკითხულთა 26%-მა.

თუ რაოდენობრივი ნაწილის ანალიზს დავეყრდნობით, მიუხედავად იმისა, რომ უსაფ-

რთხოების დაბალი მაჩვენებელი ძალიან ცოტა მონაწილემ მიუთითა, აღმოჩნდა, რომ უსაფრთხოების მაღალი მაჩვენებლის აღნიშვნა იქედან გამომდინარეობს, რომ კვლევაში ჩართულებს „ომის საფრთხის არარსებობა“ მიაჩნიათ უსაფრთხოების ძირითად გარანტად, რაც უკვე თვისებრივი კვლევის დროს სხვა კონტექსტში გადადის. ამ საკითხთან მიმართებაში თვისებრივი კვლევის მონაწილეებსაც ჰქონდათ საშუალება, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრება, თუ რა ხელის შემშლელი ფაქტორები არსებობს მათთვის, რათა უსაფრთხოდ მიიჩნევდნენ თავს.

სახელდება ეკონომიკური და პოლიტიკური არასტაბილურობა, რაც მაპროვოცირებელია ბევრი იმ გარემოების, რომელსაც მივყავართ უსაფრთხოების განცდის არქონამდე:

> *„მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ზოგადად ითვლება უსაფრთხო ქვეყნად, ჯერ კიდევ არსებობს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: პოლიტიკური არასტაბილურობა, დაძაბულობა, ეკონომიკური გამოწვევები, გენდერული ძალადობა, უმუშევრობის მაღალი დონე, რაც აფერხებს უსაფრთხოების განცდას“ (ქალი, 41 წლის, პედაგოგი, დევნილი).*

> *„უსაფრთხოება ზოგადად გულისხმობს ზიანის, საფრთხის ან დანაკარგისგან დაცულ მდგომარეობას. მრავალ ასპექტს შორის მოიცავს ფიზიკურ, ფინანსურ უსაფრთხოებას, ემოციურ კეთილდღეობას და პირადი ინფორმაციის დაცვას. ამის შეგრძნება ყველა სფეროში არ გვაქვს“ (ქალი, 43 წლის, დაუსაქმებელი, სამოქალაქო აქტივისტი).*

იგივე აქცენტებს სვამს ადგილობრივი ექსპერტიც, რომელიც უსაფრთხოებას განიხილავს როგორც ჯანდაცვის, ისე ადამიანის უფლებების ჭრილში:

> *„უსაფრთხოება, უპირველეს ყოვლისა, არის მშვიდობა ქვეყანაში, ომის საშიშროების არარსებობა, აუცილებელია, კრიმინალისგან იყოს დაცული თითოეული ადამიანი. გარანტიები გვქონდეს ყველა საქმეში, გვყავდეს პროფესიონალი ექიმები, იურისტები და ყველა სფეროში მაღალი ხარისხი გვქონდეს. ასეთ დროს ვიგრძნობ თავს უსაფრთხოდ“ (ქალი, 58 წლის, სათემო განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი).*

სიტყვის და გამოხატვის თავისუფლება, როგორც უსაფრთხოების გარანტი, გამოკითხულთაგან უფრო ახალგაზრდებმა დაასახელეს (41%). ამ მაჩვენებელს სქესის მიხედვით თუ ჩავშლით, ირკვევა, რომ სიტყვის თავისუფლება მნიშვნელოვანია ქალების 33% და კაცების 50%-ისთვის.

თვისებრივ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდებიც საუბრობენ იმაზე, რომ მათთვის მნიშვნელოვანია, ჰქონდეთ გარემო, სადაც საკუთარი აზრის ღიად დაფიქსირებას შეძლებენ:

> *„ჩემთვის უსაფრთხოება ასოცირდება თავისუფალი აზრის გამოთქმასთან. მიმაჩნია, რომ არ უნდა მოველოდე ქვებით ჩაქოლვას იმის გამო, რომ დავაფიქსირო საზოგადოებისგან განსხვავებული აზრი“ (ქალი, 18 წლის, მოსწავლე, ადგილობრივი).*

ქვეყანაში და მსოფლიოში არსებული ინფორმაციის მიღების პირველწყაროს მოსახლეობის უმრავლესობისთვის წარმოადგენს: ადგილობრივი ტელევიზია (59,60%), ონლაინ მე-

დიასაშუალებები და სოციალური ქსელები (70,86%), საერთაშორისო მედიასაშუალებები (17,88%), მეზობლები და ნაცნობები (13,90%). ინფორმაციის გავრცელების თვალსაზრისით ასევე იკვეთება ნათესავების როლიც (8,60%). ინფორმაციის მიღების არხად ყველაზე ნაკლებად დასახელდა ინფორმაციის მიღება „რუსეთის ტელევიზიიდან“ (5,29%).

იკვეთება, რომ საგრძნობლად გაუმჯობესდა მოსახლეობის ინფორმირების პრაქტიკა ონლაინ მედიასაშუალებებით და სოციალური ქსელებით. რომელსაც იყენებს ქალების 83% და კაცების 43%. მათ შორის დევნილია 68% და ადგილობრივი - 74%.

რაც შეეხება ასაკობრივ მაჩვენებელს, ინტერნეტ სივრცეში განთავსებულ ინფორმაციას ყველა კატეგორია იყენებს, თუმცა ინფორმაციის მიღებისთვის მას უმეტესად ახალგაზრდები მიმართავენ (49%).

დიაგრამა 4.



ბლოკი 2. საზოგადოებრივი უსაფრთხოება

კვლევამ საშუალება მოგვცა დაგვენახა, თუ რა მდგომარეობაა მოსახლეობის საზოგადოებრივი უსაფრთხოების დონის კუთხით სენაკის მუნიციპალიტეტში, რაც შეფასდა სათანადო ინფრასტრუქტურის არსებობის და მოსახლეობისთვის საბაზისო სერვისებისადმი ხელმისაწვდომობის ხარისხის გაზომვის გზით. საზოგადოებრივი უსაფრთხოების კუთხით ასევე მნიშვნელოვანი იყო, გამოგვეკვეთა მოქალაქეთა აზრი კრიმინოგენული მდგომარეობის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ხარისხის შესახებ.

რაოდენობრივმა კვლევამ ნათლად აჩვენა, **თუ რომელი საკითხია გამოკითხულთათვის და მათ თემში მცხოვრები ქალებისთვის უფრო პრიორიტეტული და აქტუალური.** ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემად დასახელდა ფეხით მოსიარულეთათვის ბორდიურების, ტროტუარების მოწესრიგება (37,10%), წყლის გაყვანილობის სისტემის და სასმელი წყლის მიწოდების ხარისხის გაუმჯობესება (35,10%). ასევე გამოიკვეთა გზის მოწესრიგების (33,12%) და ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესების (31.80%) აუცილებლობა. ინფრასტრუქტურული პრობლემებიდან სენაკის მუნიციპალიტეტისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია სანიაღვრე არხების (25,16%) და საკანალიზაციო სისტემის გამართვა (21,85%).

გენდერულ ჭრილში განხილულ იქნა ასევე სკოლებთან და ბაღებთან დაკავშირებული პრობლემები. აღმოჩნდა, რომ სკოლაში არსებული არადამაკმაყოფილებელი ინფრასტრუქტურული პრობლემები და სკოლისგარეშე წრეების არსებობა ბავშვებისთვის მნიშვნელოვნად მიაჩნია გამოკითხულთა 21,20%-ს. არანაკლებ მნიშვნელოვნად დასახელდა ბავშვის მოვლის მხარდაჭერის სერვისების არსებობა დასაქმებული დედებისთვის (25,17%). სენაკის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ნაწილისთვის ისევ რჩება პრიორიტეტად სოფლის შიდა გზების მოწესრიგება (19,20%), გარე განათებების გამართვა (11,26%) და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების არსებობა სოფლებში (22,51%). საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების - სამკერვალოების და სალონების არარსებობა კი აქტუალურ პრობლემად რჩება სოფლად მცხოვრები ქალებისთვის, რაზეც გამოკითხულთა 22,51% მიუთითებს.

მონაწილეთა მხრიდან თვისებრივი კვლევის დროს მიღებული მონაცემები რაოდენობრივს ემთხვევა. როგორც ირკვევა, ბორდიურების, გზების მოწესრიგების, სასმელი წყლის მიწოდების პრობლემა, სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემის არარსებობა უსაფრთხოების კომპონენტში სერიოზულ საფრთხეს უქმნის მოსახლეობას, განსაკუთრებით ქალებს -

> *„ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენს გაუმართავი სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემა. როდესაც დიდი წვიმაა, იტბორება ქუჩები. ეს პრობლემა დგას როგორც ცენტრალურ ქუჩებზე, ისე დევნილთა დასახლებაში“ (ქალი, 45 წლის, დევნილი, პედაგოგი).*

> *„ქალაქში არ არის გამართული წყალგაყვანილობის სისტემა. ხშირად ხდება ავარიული გამორთვა. ასევე არის შემთხვევები, როდესაც სარემონტო სამუშაოების მერე ისეთი წყალი მოდის, რომ შეუძლებელია მისი დალევა“ (ქალი, 56 წლის, ადგილობრივი, დიასახლისი).*

საზოგადოებრივი წესრიგისთვის ყველაზე ხელშემშლელ ფაქტორად სახელდება კრიმინალის ზრდა (57,62%), ალკოჰოლიზმის და ნარკომანიის პრობლემა (54,97%). ქვეყანაში დისკრიმინაციის და შეუწყნარებლობის მაღალ დონეზე მიუთითებს რესპონდენტთა 14,57%, ხოლო საზოგადოებრივ ცხოვრებაში განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების პირების მონაწილეობის დაბალ ხარისხზე ყურადღებას ამახვილებს გამოკითხულთა 26%, რაც ქვეყანაში დაძაბულობის და დესტაბილიზაციის დამატებით რისკებს ქმნის.

საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის საფრთხის შემცველ ფაქტორად დასახელდა ასევე გაუმართავი საგზაო მოძრაობა (22.52%) და მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა (11,93%).

თვისებრივ კვლევაში მონაწილეთა მხრიდან დაფიქსირდა, რომ ალკოჰოლიზმი და ნარკომანია, უმეტესწილად, განპირობებულია არასტაბილური გარემოთი და რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, რაც, თავის მხრივ, მოსახლეობაში ზრდის დაძაბულობას, სტრესს, აგრესიას. მომატებულია კრიმინალის დონეც, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ უსაფრთხოებას:

> *„ყველაზე დიდ პრობლემად საზოგადოებრივი წესრიგის კუთხით მე პირადად გამოვყოფდი ალკოჰოლიზმს და ნარკომანიას, რაც დღესდღეობით, ჩვენდა სამწუხაროდ, აქტუალურია ახალგაზრდებში. ამის საფუძველია უმუშევრობა და უკონტროლობა ნარკოტიკულ ნივთიერებებზე წვდომის მხრივ“ (ქალი, 48 წლის, დევნილი, უმუშევარი).*

„საზოგადოებაში თავს დაცულად არ ვგრძნობ, რადგან თითოეული ინიდივიდი ვისმენთ უამრავ შემზარავ ისტორიას მკვლელობასა და ყაჩაღობასთან დაკავშირებით. სამწუხაროა, რომ საზოგადოების ნაწილი შიშში ცხოვრობს და თავს დაუცველად გრძნობს“ (ქალი, 18 წლის, ადგილობრივი, მოსწავლე).

დამოკიდებულებაზე, როგორც საზოგადოებრივი წესრიგისთვის ხელის შემშლელ ფაქტორზე, საუბრობენ ექსპერტებიც და ეს პრობლემა ახალგაზრდების განვითარების შემაფერხებელ მიზეზად მიაჩნიათ:

„ვფიქრობ, ნარკომანია არის პრობლემა, რომლის მავნებლობასაც აკლია აქტუალიზაცია. ეს ძალიან დიდი პრობლემაა საქართველოს რეალობაში. ახალგაზრდები მასობრივად მოიხმარენ ამა თუ იმ სახეობის ნარკოტიკს, რაც, თავის მხრივ არის უამრავი სხვა პრობლემის მიზეზი. ეს არის უმუშევრობა, კრიმინალი, ოჯახური კონფლიქტები, განათლებაზე ნაკლები ხელმისაწვდომობა, დემოგრაფიული პრობლემები“ (ქალი, 58 წლის, სათემო განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი).

კვლევაში ცალკე ყურადღება დაეთმო განათლების საკითხებს, შეფასდა მოსახლეობის მხრიდან საშუალო და უმაღლესი განათლებისადმი ხელმისაწვდომობის დონე და მიწოდებული განათლების ხარისხი.

კითხვაზე **„აქვთ თუ არა თქვენს შვილებს, შვილიშვილებს ან ნაცნობებს ხარისხიან საშუალო განათლებაზე წვდომა“,** რაოდენობრივ კვლევაში ჩართულთა უმრავლესობა (55,63%) მიიჩნევს, რომ ნაწილობრივ არის ამის საშუალება. 35,76% თვლის, რომ აქვთ განათლებაზე წვდომა, ხოლო 8,61%-ის აზრით, ახალგაზრდებს საშუალო განათლებაზე წვდომა არ აქვთ.

დიაგრამა 5.



საშუალო განათლებაზე წვდომის ნაკლებობის პრობლემად სახელდება: სწავლების დაბალი ხარისხი (54,30%), არასაკმარისი პროფესიონალი პედაგოგი (31,12%), გაუმართავი სასკოლო ინფრასტრუქტურა (27,15%), სკოლაში შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობის არარსებობა (33,10%), დაბალი ხარისხის ინტერნეტი, რაც საჭიროა დისტანციური სწავლების უზრუნველსაყოფად (22,51%).

ასევე კვლევის ფარგლებში საშუალება გვქონდა, გამოგვევლინა, თუ რა სიტუაცია არის სენაკის მუნიციპალიტეტში **უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით.** გამო-

კითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მათი ოჯახის წევრებს და ნაცნობებს ხარისხიან უმაღლეს განათლებაზე წვდომა ნაწილობრივ აქვთ (52,97%). 40,40% დადებით პასუხს აფიქსირებს, ხოლო 6,63%% მიიჩნევს, რომ უმაღლესი განათლება ხელმისაწვდომი არ არის.

დიაგრამა 6.



იმ მიზეზთა შორის, რომლებიც **აფერხებს უმაღლესი განათლებისადმი წვდომას,** გამოიყო: რეგიონის სტუდენტებისთვის ქალაქში მიუწვდომელი უფასო საცხოვრებელი - 36,43%; სწავლების მაღალი საფასური - 34,44%; სკოლებში პროფესიის საორიენტაციო კურსების არარსებობა, რის გამოც აბიტურიენტები სწორად ვერ ირჩევენ პროფესიას - 20,51%. სწავლის დაბალ ხარისხს ხაზი გაუსვა რესპონდენტთა 8,61%-მა.

თვისებრივ კვლევაში მონაწილეები აფიქსირებდნენ ახალგაზრდებისთვის სრულფასოვანი განათლების ხელმისაწვდომობის აუცილებლობას, რადგანაც ეს გარანტად მიაჩნიათ იმისა, რომ არ მოხდეს ახალგაზრდების გადინება ქვეყნიდან:

> *„ქვეყნის დონეზე გადაუჭრელ პრობლემებს უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია ქვეყნის მთლიან განვითარებასა და პროგრესზე. მაგალითად, ცუდმა განათლებამ შეიძლება გამოიწვიოს კვალიფიციური მუშაკების ნაკლებობა და ნაკლებად კონკურენტუნარიანი მუშახელი. ამ პრობლემებს შეუძლია, გრძელვადიანი გავლენა მოახდინოს ქვეყნის კეთილდღეობასა და განვითარებაზე“ (ქალი, 41 წლის, ადგილობრივი, მცირე მეწარმე).*

> *„სრულფასოვან განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შეიძლება დაეხმაროს ადამიანებს, შეიძინონ უნარ-ჩვევები და ცოდნა, რომლებიც საჭიროა უკეთესი ანაზღაურებადი სამუშაოს მოსაპოვებლად. ეს შეამცირებს ახალგაზრდების მიგრაციის დონესაც. ასევე, რაც მეტი განათლებული და განვითარებული ადამიანი იქნება საზოგადოებაში, მით მეტად შემცირდება ძალადობის ფაქტებიც, რადგანაც მოხდება არსებული მავნე სტერეოტიპების რღვევა“ (ქალი, 51 წლის, დევნილი, დიასახლისი).*

თვისებრივ კვლევაში ჩართულმა ახალგაზრდებმა გამოკვეთეს ახალგაზრდული სივრცეების პრობლემა. აღნიშნეს, რომ არ არის ადგილები, სადაც მათ შეკრების, თავისუფალი დროის მიზნობრივად გატარების შესაძლებლობა ექნებათ:

„ჩემი ტოლი ახალგაზრდებისთვის პრობლემაა ის, რომ არ არის არანაირი გასართობი ქალაქში, სადაც შეიძლება დრო გაატარო, გაერთო. არ გვაქვს კინოთეატრი, სადაც საშუალება გვექნება, ერთად ვუყუროთ ფილმს. არ არის ადგილები, სადაც შევძლებთ, დავსხდეთ და ელემენტარული თემები განვიხილოთ. თუნდაც ესეც მოქმედებს იმაზე, რომ არის შიდა მიგრაცია და გარე მიგრაციაც. ჩემს ტოლებიდან ბევრს აქვს მიზნად, რომ წავიდეს ქვეყნიდან, ეს სერიოზული პრობლემაა, რაზეც აუცილებლად უნდა გამახვილდეს ყურადღება“ (კაცი, 18 წლის, ადგილობრივი, მოსწავლე).

ბლოკი 3. პირადი უსაფრთხოება

რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში ასევე შეფასდა პირადი უსაფრთხოების ხარისხი ქალთა მიმართ ოჯახური ძალადობის საკითხის აქტუალობის და პრობლემის მასშტაბების, ძალადობის ყველაზე ხშირად გამოყენებული ფორმების გამოვლენის, ძალადობისგან დაცვის არსებულ სერვისებზე მოსახლეობის ინფორმირებულობის და ამ სერვისებისადმი ხელმისაწვდომობის შესწავლის გზით.

ის, რომ ოჯახური ძალადობის პრობლემა მწვავედ დგას, ამას რესპონდენტთა 21,85% მიიჩნევს, ხოლო ოჯახში ქალთა მიმართ ძალადობის პრობლემა აქტუალურია 27,81%-ისთვის. ოჯახში ძალადობის საკითხი რომ კვლავ ტაბუდადებულ და გაუმხელელ პრობლემად რჩება, ამაზე 15,24% მიუთითებს, რადგანაც მათ საკითხზე პოზიციის დაფიქსირებისგან თავი შეიკავეს. ასევე ამაზე მეტყველებს ისიც, გამოკითხულთა საკმაოდ დიდი ნაწილი - 35,10% თვლის, რომ ძალადობა აქტუალური არ არის და ამას აღნიშნავენ - მიუხედავად მუნიციპალიტეტში არსებული სტატისტიკისა. ქალებისთვის თემა რომ ტაბუდადებულია, ამის მაჩვენებელია ის, რომ პროცენტულად მეტმა ქალმა მონიშნა პასუხები: „არ მაქვს პასუხი“ და „არ არის აქტუალური“.

დიაგრამა 7.

რამდენად აქტუალურია ძალადობის პრობლემა თქვენთვის ან თქვენს თემში?



თვისებრივი კვლევა შეეხო ოჯახში ძალადობის კუთხით არსებულ გამოწვევებს. აღინიშნა, რომ ამ მხრივ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. ერთ-ერთ მიზეზად, რაც პრობლემის მოგ-

ვარებას უშლის ხელს, დასახელდა საზოგადოებაში ჯერ კიდევ მყარად დამკვიდრებული მენტალიტეტი. ასევე ხაზგასმულ იქნა, რომ აუცილებელია მოძალადის რეაბილიტაციის კუთხით მუშაობა, რაც პრევენციას შეუწყობს ხელს:

„ოჯახში ძალადობა უფრო სენსიტიურ ჭრილში უნდა იყოს განხილული, რაც აღმოფხვრას შეუწყობს ხელს. აუცილებელია მოძალადისთვისაც არსებობდეს ფსიქოლოგის დახმარების პროგრამა, რაც ჩვენს საზოგადოებაში არ არის პოპულარული. არ უნდა იყოს მუნიციპალიტეტებში სოციალური მუშაკების ნაკლებობა, რომელთა მოვალეობაა სწორედ ასეთ ოჯახებთან მჭიდრო კავშირი და დახმარება“ (ქალი, 37 წლის, ადგილობრივი, პედაგოგი).

„ოჯახში ძალადობის პრობლემა ძალიან აქტუალურია. ჩემი აზრით, ამ პრობლემას მრავალი მიზეზი აქვს, მათ შორის საქართველოში არსებული კულტურული და ტრადიციული ნორმები, სუსტი სამართლებრივი სისტემა და ოჯახში ძალადობის პრევენციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური ზომების ნაკლებობა. ეს ყველაფერი ხელს უწყობს ამ საკითხის აქტუალობას“ (ქალი, 57 წლის, დევნილი, საჯარო მოხელე).

ძალადობის პრობლემის აქტუალობას და სიმწვავეს ხაზს უსვამენ ექსპერტებიც და ამის მიზეზად მიაჩნიათ ჯერ კიდევ მყარად გამჯდარი მენტალიტეტი:

„ბოლო წლების სტატისტიკური მონაცემებით, ქალთა მიმართ ძალადობის მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება, რაც საკმაოდ პრობლემატური თემაა ჩვენი საზოგადოებისათვის. ამის მიზეზი შესაძლებელია არაერთი ფაქტორი იყოს, მთავარი ალბათ მაინც ქართული მენტალიტეტი და მამაკაცის დამოკიდებულებაა ოჯახში „უფროს-უმცროსის“ შეხედულებასთან დაკავშირებით“ (კაცი, 48 წლის, გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი).

თვისებრივ კვლევაში ჩართული ძალადობის მსხვერპლი ქალები მიიჩნევენ, რომ მათი უსაფრთხოების ხარისხი დაბალ დონეზეა ბევრი მაჩვენებლით, ყველაფერი კი უკავშირდება იმას, რომ მათ არ აქვთ სტაბილურობის შეგრძნება, ეს კი მათ უსაფრთხოებას ყველამხრივ უქმნის პრობლემას:

„ოთხი შვილი მყავს და არაფერში არ ვგრძნობ თავს დაცულად. სამსახურს ვერ ვიწყებ. ბავშვები ბაღში ვერ დამყავს, ზეიმის ფული არ მაქვს ხშირად და მეტი რას ნიშნავს დაუცველობა და უსაფრთხოების ხარისხი“ (ქალი, 39 წლის, ძალადობის მსხვერპლი, დიასახლისი).

ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმა, გამოკითხულთა მოსაზრებით, არის ფსიქოლოგიური (50,33%) და ეკონომიკური (25,83%) ძალადობა, რის შემდგომაც სახელდება ფიზიკური ძალადობა (20,53%). რაც შეეხება სექსუალურ ძალადობას, მასზე გამოკითხულთა მხოლოდ 3,31%-მა შეაჩერა ყურადღება.

დიაგრამა 8.



რაოდენობრივი გამოკითხვის შედეგად კითხვაზე **„გაქვთ თუ არა ინფორმაცია ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისების შესახებ“** მიღებული პასუხებიდან გამოვლინდა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობას ზოგიერთ მათგანზე აქვს ინფორმაცია (41,06%). სამწუხაროდ, ინფორმაციას აღნიშნულ სერვისებზე არ ფლობს 31,78%. მათ შორის მეტი წილი ქალზე მოდის და 41%-ს შეადგენს, კაცებიდან მხოლოდ 11% პასუხობს, რომ არ აქვს ინფორმაცია სერვისებზე. თუ ამ მონაცემებს სოციალური სტატუსის ჭრილში განვიხილავთ, აქ მონაცემები დევნილ და ადგილობრივ თემზე თითქმის თანაბრად გადანაწილდა: დევნილი - 21,50% და ადგილობრივი - 32%.

საინტერესო მაჩვენებელი დაფიქსირდა იმ კუთხით, თუ რა სერვისებზე აქვთ ინფორმაცია მათ, ვინც ზოგიერთ მათგანს იცნობს. გამოიკვეთა, რომ რაოდენობრივ კვლევაში ჩართულთა უმეტესობა ფლობს ინფორმაციას ცხელი ხაზის (68%), არასამთავრობო ორგანიზაციების და მათი სერვისების (60%), ძალადობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების (44%) და ასევე სამთავრობო და არასამთავრობო დონეზე არსებული კრიზისული ცენტრების (40,35%) შესახებ. შედარებით დაბალია ინფორმირების დონე სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების ბაზაზე არსებული თავშესაფრების (21%) და მუნიციპალური სერვისების (29%) შესახებ.

დიაგრამა 9.



მსხვერპლთა და პოტენციურ მსხვერპლთათვის არსებულ სერვისებზე გამოკითხულთა უმრავლესობა ინფორმაციას იღებს სოციალური ქსელის (54,97%), ტელევიზიის და რადიოს (19,21%) საშუალებით. ხოლო 12,59% აღნიშნულ საკითხებზე ინფორმირებულია არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით, რაც აიხსნება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მხრიდან მოსახლეობასთან აქტიური მუშაობით. ინფორმაციას საჯარო ადგილებში განთავსებული განცხადებებიდან და საინფორმაციო ფურცლებიდან იღებს 5,30%, ხოლო 4,64% აღნიშნავს, რომ მსხვერპლის მხარდაჭერის სერვისების შესახებ ინფორმაციას ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისგან ფლობს, მხოლოდ 3,30% მიუთითებს, რომ ინფორმაცია მოიპოვა ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებისგან.

გამოკითხულთა უმრავლესობა მიუთითებს, რომ **არსებული სერვისები არ არის საკმარისად ხელმისაწვდომი მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის** (60,92%). ეს სერვისები ხელმისაწვდომად მხოლოდ 29,80%-ს მიაჩნია, ხოლო 9,28% უარყოფით პასუხს აღნიშნავს.

ასევე ნათელი სურათი მივიღეთ იმის შესახებ, **საკმარისია თუ არა ძალადობის მსხვერპლთა არსებული სახელმწიფო სერვისები,** რაც, უმეტესობის აზრით, ნაწილობრივ შეიძლება აკმაყოფილებდეს ამ მოწყვლადი კატეგორიის საჭიროებას. ამას აღნიშნავს 53,64%. საკმაოდ დიდი მაჩვენებელი დაფიქსირდა მოსაზრებაზე, რომ ეს სერვისები საერთოდ არ არის საკმარისი (35,76%). მხოლოდ 10,60%-მა მიუთითა ამ შეკითხვაზე დადებითი პასუხი.

ბლოკი 4. ადამიანური უსაფრთხოება

გაირკვა, რომ **ადამიანური უსაფრთხოების გაზრდილ რისკებს სხვადასხვა კუთხით** აქვთ გავლენა კვლევის მონაწილეებზე. უმეტესად კი ეს ვლინდება იმაში, რომ გაზრდილია სტრესული სიტუაციები და დაძაბულობა (58,28%), რაც თავისთავად ზრდის ფსიქოლოგიური პრობლემების რისკს (35,10%). ეს ფონი სახელდება იმის მიზეზად, რომ იზრდება ქალთა მიგრაცია და გაყოფილი ოჯახების რიცხვი (37,75%), თავს იჩენს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები (28,48%) და გახშირებულია ოჯახური კონფლიქტების, ქალზე ძალადობის შემთხვევები (19.20%). ამის ფონზე კი იმატებს დაუცველობის შეგრძნება (17,22%), საზოგადოებაში გამოკვეთილია უიმედობა და მომავლის შიში (19,20%). იკვეთება საზოგადოების დეპოლარიზაცია და კონფლიქტები (12,58%).

მივიღეთ ძალიან საინტერესო სურათი:

ადამიანური უსაფრთხოების გაზრდილი რისკების გავლენა მოსახლეობაზე	
გაზრდილია სტრესი, დაძაბულობა	58,28%
თავს იჩენს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები	28,48%
გამოკვეთილია უიმედობა, მომავლის შიში	19,20%
იზრდება ფსიქოლოგიური პრობლემი	35,10%
იკვეთება საზოგადოების დეპოლარიზაცია და კონფლიქტები	12,58%
გახშირებულია ოჯახური კონფლიქტების, ქალზე ძალადობის შემთხვევები	19.20%
იზრდება ქალთა მიგრაცია და გაყოფილი ოჯახების რიცხვი	37,75%
მაღალია დაუცველობის შეგრძნება	17,22%

ის, რომ საზოგადოებაში არის უიმედობა, მომავლის შიში და დაუცველობის შეგრძნება, აისახება იმ შეკითხვაშიც, რომლითაც ჩვენ ვცდილობდით, გაგვერკვია, **მიგიმართავთ თუ არა სახელისუფლებო სტრუქტურებისთვის პირადი თუ საზოგადოებრივი პრობლემის გადასაჭრელად**. აღმოჩნდა, რომ კვლევის მონაწილეთა უმრავლესობას არ მიუმართავს (50,33%). მკაფიოდ აფიქსირებენ, რომ არ მიმართავენ იმიტომ, რომ არ სჯერათ შესაბამისი რეაგირების (25,83%). თუმცა არიან ისეთი მონაწილეებიც, რომლებსაც მიუმართავთ როგორც ადგილობრივი (19,20%), ისე ცენტრალური ხელისუფლებისთვის (4,64%).

თვისებრივი კვლევის მონაწილე ქალები საუბრობენ იმაზეც, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ მოწყვლადი კატეგორიის პრობლემების ასახვა პრიორიტეტული იყოს სახელმწიფოსთვის. აქცენტები არის დასმული საჭიროებების კვლევის ჩატარების აუცილებლობაზე, არსებული სერვისების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მნიშვნელობაზე, რაც ადგილობრივი თვითმმართველობისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს:

> *„ყველა დონეზე მთავრობის პასუხისმგებლობაა, უზრუნველყოს, რომ მოწყვლადი მოსახლეობის საჭიროებები აისახოს მის პოლიტიკასა და პროგრამებში. ეს შეიძლება მოიცავდეს საჭიროებების რეგულარულ შეფასებებს, კონსულტაციებს თემის წევრებთან და დაინტერესებულ მხარეებთან და რესურსების მიზნობრივად მოხმარებას მოწყვლადი ჯგუფების სპეციფიკური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად“ (ქალი, 47 წლის, დევნილი, პედაგოგი).*

> *„ადამიანებს აქვთ ნიჰილისტური დამოკიდებულება, რომ რაც არ უნდა მიმართონ, მათი პრობლემა არ გადაიჭრება. მოწყვლადი კატეგორიის საჭიროებების დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, თვითმმართველობა ჩაერთოს ამ ჯგუფებთან მუდმივ დიალოგში და მათი აზრი იყოს გათვალისწინებული ბიუჯეტის შემუშავების დროს“ (ქალი, 51 წლის, ადგილობრივი, პედაგოგი).*

დასკვნა და რეკომენდაციები

წინამდებარე კვლევის შედეგად სენაკის მუნიციპალიტეტში გამოიკვეთა მოსახლეობის მოწყვლადობის საკმაოდ მაღალი ხარისხი ადამიანის უსაფრთხოების სხვადასხვა კატეგორიასთან მიმართებაში. აქტუალურია როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური პრობლემები. არადამაკმაყოფილებელია განათლებაზე ახალგაზრდების ხელმისაწვდომობა. მწვავედ დგას ინფრასტრუქტურული პრობლემები, მათ შორის: მოუწესრიგებელი შიდა გზები, გაუმართავი საკანალიზაციო სისტემა, სუფთა წყალზე შეუფერხებელი წვდომა და სხვა მრავალი პრობლემა.

გამოკვეთილია სახელმწიფო თუ ადგილობრივი პროგრამების შესახებ მოსახლეობის ინფორმირების არასაკმარისი ხარისხი და მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერების აუცილებლობა ადგილობრივ დონეზე, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის საჭიროებების ასახვას ადგილობრივ ბიუჯეტში და ასევე მათი ყოველდღიური პრობლემების გადაჭრას.

კვლევაში გამოკვეთილი გამოწვევების საპასუხოდ რეკომენდებულია შემდეგი მოქმედებების განხორციელება:

- ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა, ქალთა ჯგუფების, აქტივისტების ინიციატივების მხარდაჭერა და ბიუჯეტში გენდერული ასპექტების გაძლიერება;
- კონსულტაციების ორგანიზება პრიორიტეტული პროექტების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების ყველა ეტაპზე მოწყვლად ჯგუფებთან და ადგილობრივი თემის წარმომადგენლებთან;
- ინფორმაციის ფართოდ გავრცელების პრაქტიკის დანერგვა ადგილობრივ ბიუჯეტში არსებული ყველა პროგრამისა და მუნიციპალური სერვისის შესახებ, რისთვისაც მართებულია თვითმმართველობის ხელთარსებული ყველა რესურსის გამოყენება (ფეისბუქგვერდი, ვებგვერდი, მასმედიის საშუალებები, მოსახლეობასთან უშუალო შეხვედრები);
- სოფლებში ახალგაზრდული სივრცეების შექმნა, სადაც ახალგაზრდებს ექნებათ შეკრებისა და თავისუფალი დროის ნაყოფიერად გატარების და არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა;
- ადგილობრივ თვითმმართველობებში ახალგაზრდების განვითარების პროგრამების გამრავალფეროვნება/დანერგვა;
- ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის აქტუალიზაცია;
- განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით წამახალისებელი პროგრამების დანერგვა წარჩინებული მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის;
- ადგილობრივი მოსახლეობის სენსიტიურობის ზრდის ხელშეწყობა ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე;
- ძალადობის კუთხით არსებული სერვისების შესახებ მოსახლეობის მაქსიმალური ინფორმირება, ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართულობით;
- ძალადობის მსხვერპლ ქალთა მხარდაჭერის გრძელვადიანი პროგრამების შემუშავება, მათი პროფესიული განვითარების/გადამზადების და დასაქმების კომპონენტის გათვალისწინებით;
- პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პრობლემების მოსაგვარებლად შესაბამისი პროგრამების დანერგვა ადგილობრივ ბიუჯეტში.

ქალთა ფონდი „სოხუმი“

პროექტის დირექტორი - ალლა გამახარია

პროექტის კოორდინატორი - თეა გოლეთიანი

რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების შეგროვებაზე მუშაობდა
სენაკის ქალთა საინიციატივო ჯგუფი

კვლევა მოამზადა გურანდა გვანცელაძემ

რედაქტორი - ლალი შენგელია

დამკაბადონებელი - ლია კოსტავა

საკონტაქტო ინფორმაცია

ქ. ქუთაისი, მგალობლიშვილის ქ. 6
ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. №29 ბ, საოფისე ფართი №2

fundsukhumitbilisi@gmail.com
womansukhumi@gmail.com

www.fsokhumi.ge
https://sosfsokhumi.ge/

www.facebook.com/fsokhumi/